ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4499924

ნომერი: AR1676540

თარიღი : 19.04.2019

გაცემის თარიღი : 15.05.2019

გაცნობის თარიღი : 16.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა რუსთაველი , N 10ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ჩხაიძე პ/ნ 01004008072
- თბილისი მთაწმინდის შეს. N 7ა ბ. 14

ორგანიზაცია:

- სტუდია9 კოდი: 404429515

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3980971 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 19 აპრილს №AR1676540 განცხადებით მომართა აკაკი ჩხაიძემ. განმცხადებელმა მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3980971 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3980971 გადაწყვეტილებით დაადასტურდა ქალაქ თბილისში, სექტორი წყნეთი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა №10ა, შპს ,,წისქვილი''-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.20.01.108.011) არსებული I კლასის ღობის დემონტაჟი, I კლასის ღობის, საყრდენი კედელის, ფანჩატურის, პირველადი მოხმარების მაღაზიის მშენებლობის და ტერიტორიის მოპირკეთება/კეთილმოწყობის შესაძლებლობა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, (განცხადების რეგისტრაცია: N 882015292307; 28/05/2015, მომზადების თარიღი: 28/05/2015) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, რუსთაველის ქუჩა №10-ში N 01.20.01.108.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,წისქვილი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202200778). 2019 წლის 19 აპრილს №AR1676540 განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,წისქვილი ჯგუფი''-ს დირექტორის დავით წივწივაძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული 2019 წლის 30 იანვრის №01-19 მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას არქიტექტურის სამსახურში.

განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული 2018 წლის 25 მაისის №3980971 გადაწყვეტილების შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს სამსახურის 2018 წლის 25 მაისის №3980971 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას. განმცხადებლის მიერ 2019 წლის 12 თებერვლის №AR1660068 განცხადებაზე წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლითაც დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობა ნაწილობრივ ნაწარმოებია.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს აკაკი ჩხაიძის 2019 წლის 19 აპრილს №AR1676540 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 მაისის № 3980971 გადაწყვეტილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.